645
1958/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 6 ივნისი 1958

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს პატარა ჩინელი გოგონა გამოხატავს მთელი მსოფლიოს ბავშვთა სიყვარულს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარის ეჟენი კოტონისადმი, ვინაც მამაცურად იბრძვის მსოფლიოს ბავშვთა ბედნიერებისათვის.

## ნომერშია

ბედნიერება ბავშვებს!

*

ფოტორეპორტაჟი ჩვილ ბავშვთა სახლზე.

*

ნარკვევი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორზე.

*

ყინულის ქანდაკება. მოთხრობა.

*

შრომაში ჰპოვებს ბედნიერებას.

*

მეჩაიე ქალთათვის.

*

ნატო ვაჩნაძე.

*

წერილები ბავშვთა მუსიკალური აღზრდის შესახებ.

*

ექიმის რჩევა.






იულიანა რახანდრაზა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვენის კონგრესზე მადაგასკარიდან ჩამოვიდა და ჩამოიყვანა თავისი გოგონა—მისა. მე „მინდა მხოლოდ სიხარულით ფეთქავდნენ ჩვენი ბავშვების გულები,"—ამბობს იულიანა.

# ბედნიერება ბავშვებს!

პირველი ივნისი — ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე! რა მახლობელი, რა გასაგებია ამ დღის მნიშვნელობა და არსი ყველა პატიოსანი ადამიანისათვის, მოსიყვარულე დედებისა და მამებისათვის!

ბავშვებს ეკუთვნით ადამიანთა მილიონების ყველაზე ლამაზი და სათუთი გრძნობები, მათი სანუკვარი მისწრაფებანი — ყველაფერი კარგი და მშვენიერი, რასაც ადამიანის გონება და ხელი ქმნის, დედამიწის მთელი სიმდიდრე — მოხმარდეს კაცობრიობის მომავლის კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას.

სხვადასხვანაირად ცხოვრობენ და იზრდებიან ბავშვები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

საბჭოთა ხალხმა ორმოცი წლის ბრძოლით მოიპოვა ბედნიერება თავისი ბავშვებისათვის. ბავშვთა აღზრდა ჩვენს ქვეყანაში პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ საქმედ, მთელი ხალხის საქმედ არის აღიარებული. ბავშვებს ზრუნვა არ მოკლებია მაშინაც კი, როცა რუსეთში მრისხანე სამოქალაქო ომის ხანძარი ენთო და ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, როცა მთელ ქვეყანაში საზარსათო კრიზისი მძვინვარებდა.

— მთელი ძალები ბავშვების გადასარჩენად! უკანასკნელი ნატეხი შაქარი, უკანასკნელი ნამცეცი ერბო ბავშვებს!— მოუწოდებდნენ ლენინი, პარტია მთელ ხალხს იმ მძიმე დღეებში.

რამდენი რამ გაკეთდა მას შემდეგ ჩვენი ბავშვებისათვის! ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო დაიფარა ბავშვთა კონსულტაციების, ბაგების, ბაღების, პიონერთა სახლებისა და სასახლეების, სკოლებისა და ინტერნატების ფართო ქსელით, რომლებიც ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და აღზრდის საქმეს ემსახურებიან. მთისა და ზღვის საუკეთესო კურორტებზე ყოველწლიურად ათეულ ათასობით ბავშვი ისვენებს.

მთელი საბჭოთა ხალხის ზრუნვითა და სიყვარულით არიან გარემოხილი ბავშვები — იმედი და მომავალი კაცობრიობისა.

ყურადღებითა და ალერსით არიან გარემოხილი სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნების ბავშვებიც. მათი აღზრდისათვის ზრუნვა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, სახელმწიფოებრივ საქმედ არის გამოცხადებული.

მაგრამ რამდენია მსოფლიოში მოზარდი — მოკლებული ბავშვობის სიხარულსა და ბედნიერებას? რამდენი ბავშვი ცხოვრობს სიღატაკესა და გაჭირვებაში, უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ? იმ დროს, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოები ადამიანთა მოსპობისა და ნგრევის იარაღების შესაქმნელად მილიარდებს ხარჯავენ, ათასობით ბავშვი შიმშილობს, მოკლებულია მინიმალურ სამედიცინო დახმარებას. ამიტომ გასაოცრად დიდია ბავშვთა სიკვდილიანობა. მაგალითად, თურქეთში ყოველი 1.000 ახალდაბადებული ბავშვიდან 200 ბავშვი კვდება, პარაგვაიში 10 წლის ასაკამდე ბავშვთა 70 პროცენტი იღუპება, კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში 200 მილიონი ბავშვი სკოლის გარეთ არის დარჩენილი.

მილიონობით ბავშვის სულსა და გონებას ამახინჯებს, მორალურად აკნინებს კაპიტალისტური აღზრდის სისტემა. ბულვარული და განგსტერული რომანები და კინოსურათები, რომლებსაც დიდი რაოდენობით უშვებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და რომლებიც გზას იკვლევენ ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც, რყვნის მოზარდების სულს. მორალურად დაცემული ახალგაზრდობის აღზრდა, რომლისთვისაც ამ ქვეყნად არ არსებობს არავითარი წმიდათა-წმიდა და მაღალი მიზანი — ხელსაყრელია იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეებისათვის, ასეთ ახალგაზრდობას ისინი იოლად გამოიყენებენ თავიანთი ბნელი ზრახვებისათვის.

კაპიტალისტური სამყაროს ბავშვთა მძიმე მდგომარეობა, ახალი ომისათვის გამალებული მზადება, ომისა, რომელიც ემუქრება კაცობრიობის მთელ მომავალს, პროგრესიული კაცობრიობის შეშფოთებას იწვევს. ბავშვთა დაცვის, მშვიდობისათვის, ატომური იარაღის წარმოების აკრძალვისათვის მებრძოლთა რიგებში ყოველდღიურად დგებიან ადამიანთა ათასები. ამ ბრძოლის სათავეში დგანან ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს, სოციალიზმის სხვა ქვეყნების მშრომელები.

— მოახდინეთ მთლიანი განიარაღება, უარი თქვით ძალის პოლიტიკაზე! —გაისმის მთელ მსოფლიოში მშრომელთა ხმა, დედების ხმა, კაცობრიობის იმ ნახევრის ხმა, რომელიც ყველაზე ახლოა ბავშვებთან.

ეს ხმა მთელი ძალით გაისმა ვენაში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის IV კონგრესზე, რომელმაც მუშაობა დაიწყო სწორედ 1 ივნისს.

ბავშვების მშვიდობისა და ბედნიერებისათვის, მოზარდი თაობის ნათელი მომავლისათვის იბრძვიან მილიონობით ადამიანები დღეს ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში.









# ის დედობილი

უბრალოა, ჩვეულებრივი, თითქოს ცოტა უხეშიც. ხანდახან იისფერი ძარღვები აჩნია, ყოველთვის კი არა, როცა დაიღლება, როცა მოუსვენრობს და ფუსფუსებს. თბილია, ყინვაშიც თბილია ჩვენთვის. მასზე ვფიქრობთ, როცა გვიხარია, მას ვნატრულობთ, როცა გვიჭირს. საყვარელი ხელებია, გამზრდელი ხელებია.

დავიბადეთ და მუდამ ჩვენთან იყო, არ მოგვშორებია.

ღამე თვალს ახელდა, ღამე თვალს ხუჭავდა, ის კი ათევდა და როდი იღლებოდა.

ჩვენი პირველი მახსოვრობა მისი სახით დაიწყო, ვინაც გვზრდიდა, ვინაც კალთაში გვიგორებდა და გვაჭმევდა.

ავღრუტუნდებოდით და სიხარულით თითები პირისკენ მიგვქონდა, როცა გვაცმევდა. იგი ხარობდა და ჩვენ სიყვარულს ერთმანეთის თვალებში ვპოულობდით.

შემდეგ სათამაშოების არჩევაც დავიწყეთ. მათი დანახვისას ვცქმუტავდით და ხელებს ვიშვერდით, მაგრამ ხელთ რომ მოვიგდებდით, კვლავ მას ვუცინოდით, ვინაც მათი გარჩევა გვასწავლა.

იგი თავდახრილი ჩვენს საცვლებს რეცხავდა. როცა აუთოებდა, ცდილობდა ნაოჭი არაფერს დასჩენოდა. როცა გვეძინა, ჩვენს ძილს დარაჯობდა. როცა გვეღვიძა, ჩვენს ღიმილს საჩუქარივით ელოდა.

იგი ის იყო, ვისაც შეეძლო ღამეები არ დაეძინა თუ ავათ ვიყავით. იგი ის იყო, ვისაც ჩვენი ღუღუნი ყველაზე უკეთ ესმოდა.

როცა კაცობას ვჩემულობდით და ორ ფეხზე სიარულს ვიწყებდით, პირველი გადაბიჯებისას შიშით ვტიროდით; ის კი გვიცინოდა.

როცა ცახცახით ბოლომდე გავივლიდით და ჩვენივე სითამამით გაოცებულნი მას მივაშტერდებოდით, ჩვენ აღარ ვტიროდით, მაგრამ ის ტიროდა, ალბათ სიხარულით.

იგი ის იყო, ვინაც ჩვენთან ერთად იტეხდა ენას, ყვებოდა დევებზე და მზეთუნახავებზე, ჩვენთან ერთად ცეკვავდა და მღეროდა. იგი გამზრდელი იყო.

და ჩვენ ბედნიერები ვიყავით, რომ არ ვიცოდით უდედობა. ის იყო ჩვენთვის ყველაფერი.

და ვერ ვივიწყებდით მის ხელებს. უბრალოა, ჩვეულებრივი, თითქოს ცოტა უხეშიც, მაგრამ საყვარელი ხელებია, გამზრდელი ხელებია.

ლია კაკაბაძე.

სურათზე: ქ. თბილისის № 3 ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელები.
ფოტო ი. ედიბერაშვილისა.







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლოიდური ქიმიის IV საკავშირო კონფერენციის მონაწილენი. შუაში ელენე ნანობაშვილი.

# ნათელი გზა

ერთ ზაფხულს, სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, თბილისის მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლის მოსწავლეები მოსკოვს ეწვივნენ სტუმრად.

ეს ის დრო იყო, როცა ჯერ კიდევ იწერებოდა «როგორ იწრთობოდა ფოლადი», როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ სპობდნენ კულაკთა ბანდებს, როცა საფუძველი ეყრებოდა დნეპროჰესს, როცა მოსკოვში არ იყო არც მეტრო, არც მრავალსართულიანი შენობები, არც გორკის სახელობის პარკი.

მაგრამ მოსკოვმა მაინც მოაჯადოვა პატარა ექსკურსანტები—დიდებული ჭაღარა კრემლი, წითელი მოედანი, მავზოლეუმი, რევოლუციის მუზეუმი, ტრეტიაკოვის გალერეა და უნივერსიტეტი, ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი...

ნათელი აუდიტორიებით, ფართო დერეფნებითა და გასაოცარი ლაბორატორიებით შეხვდა თბილისელ მოსწავლეებს საბჭოთა მეცნიერების ეს ტაძარი.

არასოდეს იმდენ შეკითხვაზე ერთად პასუხის გაცემა არ დასჭირებიათ მასწავლებლებს დავით პარკაძესა და დოროთი ფირცხალავას, რამდენზეც მაშინ მოითხოვდნენ ცოდნასმოწყურებული სახეწამოგზნებული მათი აღსაზრდელები. მხოლოდ ერთი მეცხრეკლასელი შავგვრემანი ტიტინა არ იძლეოდა შეკითხვებს, იგი ყურადღებით უსმენდა უფროსებსაც, თანატოლებსაც და დაკვირვებით ათვალიერებდა ყველაფერს. მაგრამ როცა გულგაშლილმა მასპინძლებმა ისინი ქიმიის ლაბორატორიაშიც მიიპატიჟეს, გოგონა თითქოს მხოლოდ ახლა გამოცოცხლდაო, ლოყები წამოენთო, ვარსკვლავებივით გაბრწყინებული მისი დიდი, შავი თვალები აღფრთოვანებით გადარბოდნენ უცნაურ აპარატებზე, კოლბებზე, კარადებზე, კარადებიდან თეთრხალათიან სტუდენტებზე, ჭაღარა პროფესორზე. რა გასაოცარ, რა ზღაპრულ სამყაროდ ეჩვენა გოგონას აქაურობა! ალბათ პროფესორმა რაბინოვიჩმაც შეატყო მას ეს აღტაცება, ალერსიანად რომ დაადო თავზე ხელი.

— მოგწონთ აქაურობა, გოგონა?

— ძალიან. აქ ისე საინტერესოა!...—აღმოხდა პატარა სტუმარს.

— მაშ თუ აგრეა, გვესტუმრეთ ხელმეორედ,—გაიღიმა პროფესორმა,—აი, როცა დაამთავრებთ ათწლედს.

— უეჭველად, უეჭველად ჩამოვალ!—წამოიძახა ელენემ და უცებ ყურებამდე გაწითლდა, მეტად ნაჩქარევი ეჩვენა საკუთარი პასუხი. რომ ვერ ჩამოვიდეს? რომ არ გამოუშვან მშობლებმა? ორი წელი არც ისე მცირე დროა იმისათვის, რომ ნამდვილად გაერკვე შენს მისწრაფებებში. ამ ხნის განმავლობაში დღე არ იყო, რომ ელენეს მოსკოვზე არ ეფიქრა,— «უეჭველად ჩავალ, უეჭველად!»—თითქოს ვიღაცის დარწმუნება სურსო, ჯიუტად იმეორებდა გულში და ამ ოცნებით ფრთებშესხმული თავაუღებლად უკირკიტებდა წიგნებს.

ნანობაშვილების ოჯახში უფროსი ქალიშვილის სურვილს წინ არვინ აღდგომია. პელაგია თითონ პედაგოგი იყო და კარგად ესმოდა შვილის გულისწადილი. არც მიხეილი ახირებია ქალიშვილს.

— შენ იცი, შვილო, გაუჭირვებლად არაფერი არ კეთდება, არ შემარცხვინოო! — ეს კი უთხრა ელიკოს.

და აი, როცა მოსკოვის უნივერსიტეტის მისაღები კომისიის წინ მოკრძალებით წარსდგა საშუალო ტანის შავგვრემანი ქალიშვილი, კომისიის წევრმა, ქიმიის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ა. რაბინოვიჩმა მაშინვე იცნო იგი.

— მაშ ჩამოხვედით, ა? ყოჩაღ, გოგონა! აბა, ვნახოთ, რით გაგვახარებთ,

მერე კი ხშირად იგონებდა ხუმრობით—ნანობაშვილმა იმ პირველ გამოცდიდანვე მოინადირა ჩემი გულიო.

გაუთავებელ სტუდენტურ კამათში, დისპუტებში, ლექციებსა და ლაბორატორიებში მუშაობაში მიქროდნენ წლები. დადგა დიპლომის დაცვის დღეც, მერე სახელმწიფო გამოცდები... ელენე უნივერსიტეტის ასპირანტურაში დატოვეს, მაგრამ ახალგაზრდა ქიმიკოსს როდი დასცალდა სწავლის გაგრძელება. ომმა აიძულა დაბრუნებოდა თბილისს. დაიწყო მძიმე, გაჭირვებითა და განსაცდელით აღსავსე დღეები. მოულოდნელად გარდაიცვალა მამა, ფრონტზე დაიღუპა ძმა. შინ მხოლოდ დედა და უმცროსი ძმა დარჩნენ. დედა ნახევრად ინვალიდი, ძმა მოსწავლე. ორივე მისი ანაბარა. ელენე მოეწყო მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად და ისევ ჩაიძირა წიგნებში, ცხრილებში, ათასნაირ ცდებში, გამოთვლებში. მთელ დღეს ატარებდა ლაბორატორიებში. ღამე კი შინ ელოდა დარდით გატეხილი, გაჭაღარავებული დედა, სხვებთან ერთად სახლის სახურავზე მორიგეობა და ოცნებები, ოცნებები პროჟექტორებით დაფლეთილი ცის ცქერაში...

მერე კი მოზღვავდა გამარჯვების დაუვიწყარი სიხარული, მაისის ოქროსფერი დილა, ბედნიერებით გაცისკროვნებული სახეები და ყვავილები, ყვავილები... ეს წელი ელენეს გამარჯვების წელიც იყო. საკანდიდატო დისერტაცია ბრწყინვალედ იქნა დაცული. ელენე დაინიშნა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკად, ამასთან მიწვეულ იქნა კიროვის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქიმიის ფაკულტეტზე თეორიულ ელექტროქიმიაში ლექციების წასაკითხავად, ამავე წელს შევიდა იგი კომუნისტური პარტიის რიგებში.

მაგრამ ეს წარმატებები როდი აკმაყოფილებდა ახალგაზრდა მეცნიერს. გული უფრო მეტისკენ, მნიშვნელოვანისაკენ მიუწევდა. მართლაც არ გასულა სამი წელიც, როძ ინსტიტუტმა ელენე ნანობაშვილი მოსკოვს გაგზავნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოქტურანტურაში.

ისევ ძველი ნაცნობები, საყვარელი პროფესორები, და კვლავ ლაბორატორიები, კოლბები, ცხრილები...

1951 წელს ელენე ნანობაშვილმა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია დიდი ენერგიის გამოსხივებით გამოწვეული ჟანგვა-აღდგენითი რეაქციებისა და მათი გამოყენების შესახებ. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია საბჭოთა რადიაციულ ქიმიაში...

ისევ თბილისი. ისევ ქიმიის ინსტიტუტი. ამჟამად პროფესორი ელენე ნანობაშვილი ამ ინტიტუტის ანალიზურ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს, პარალელურად მუშაობს რადიაციულ ქიმიაშიც. იგი უკვე 26 მეცნიერული შრომის ავტორია, მის ლაბორატორიაში იწრთობიან ამ რთული მეცნიერების მომავალი

## წერილი დაბადების დღეს

«ჩემო საყვარელო ირმა!

მარტოდ მარტო, იზოლირებული, კაცობრიობის ცხოვრებას მოწყვეტილი, ვზივარ საკანში და ღრმა მწუხარებით სავსე საათებში ვფიქრობ შენი დაბადების დღეზე, რომელიც მომავალ ორშაბათსაა, შენ, რასაკვირველია, გამიგებ, რატომ არ გამოგიგზავნე განსაკუთრებული მოსალოცი ბარათი და მხოლოდ ამ პატარა წერილით ვკმაყოფილდები, რომლითაც მოკლედ და უბრალოდ, მაგრამ მთელი ჩემი სულითა და გულით და ღრმა სიყვარულით გილოცავ დაბადების დღეს.

შენთან ერთად მეც გულს მტკენს, რომ დაბადების დღესთან დაკავშირებული მრავალი შენი სურვილი შენი საყვარელი ბაბუას უეცარი სიკვდილის გამო ჩაიშალა. ვერავითარმა უბედურებამ, რომელიც თავს დაგვატყდა, და განსაკუთრებით კი იმ მძიმე ხვედრმა, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში გხვდა წილად, ვერ უნდა გაგვტეხოს. ამ უბედურებასა და სასტიკ პირობებში მეტი სიმამაცე და მხნეობა გვმართებს. დაბადების დღეს ალბათ იფიქრებ, როგორ და რომელი პროფესია აირჩიო მომავალი ცხოვრებისათვის .. ვიმედოვნებ, კარგად ხარ და დაბადების დღეს სერიოზულად და მშვიდად შეხვდები.

დედაშენის წერილი გუშინ თერთმეტის ნახევარზე მივიღე. მასზე პასუხს ცალკე მოგწერთ. მიუხედავად იმისა, რომ გესტაპომ უარი მითხრა მონაწილეობა მიმეღო ჩემი საყვარელი მამის დაკრძალვაში, ვიცი თქვენ ყველანი ფიქრით ჩემთან იყავით და მანუგეშებდით.

გულითადი სალამი დედას. კიდევ ერთხელ მიიღე ჩემგან გულწრფელი სურვილები, მთელი გულითა და სულით გილოცავ.

შენი საყვარელი მამა.

## საიდუმლო საუბრები

საიდუმლო საუბრებისათვის ჩვენ ვიყენებდით დაფას, რომელიც შეიძლებოდა ტანისამოსში დაგვემალა. აჰას შემდეგი მოსაზრებით ვაკეთებდით:

გესტაპომ ჰანოვერში, მამაჩემის საკანში, ფარულად მოსასმენი აპარატი დადგა. მამამ ეს მაშინვე შეამჩნია და ჩვენთან ფარული კავში-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*ირმა ფესტერ-ტელმანი **ერნსტ ტელმანი**

(მოგონებანი მამაჩემზე).

რის დასამყარებლად ახალი გზა გამოძებნა. წინათ ყოველი ნახვის დროს ჩვენს საუბრებს გესტაპოელი ესწრებოდა ხოლმე. შემდეგ მამას განუცხადეს, პატიმრობის შემსუბუქების მიზნით შეხვედრის დროს არავინ დაგესწრებათო, მაგრამ მამამ კარგად იცოდა, რატომ აკეთებდნენ ამას. იცოდა, რომ ამიერიდან უფრო დაუწყებდნენ თვალყურის დევნას, ვიდრე წინათ, რადგან საიდუმლო აპარატი მათ გადაცემდა ყოველ ნათქვამს—ჩალაპარაკებას, სუნთქვას, ჩახველებას, ყოველ მოძრაობას. გესტაპოს იმედი ჰქონდა ამ აპარატით გაეგო ის, რაც ვერ ათქმევინეს ცემითა და წამებით. ნაცისტებს ეგონათ, რომ მამა მნიშვნელოვან საიდუმლო საქმეებზე გვესაუბრებოდა, მაგრამ ჩვენ ხმამაღლა უმნიშვნელო საკითხებზე ვსაუბრობდით. ამასობაში კი ვწერდით დაფაზე ყველაფერს, რაც მას პარტიისაგან სურდა გაეგო და რაც მე უნდა გადამეცა პარტიისათვის. დაწერილს მაშინვე ვშლიდით, წამოსვლისას დაფას ვმალავდი. ეს იყო ურთიერთ გაგებინების საუკეთესო საშუალება. ცხადია, მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, არ მქონდა სათანადო გამოცდილება, მაგრამ მამას მოთმინება ჰყოფნიდა და მეც მალე შევისწავლე ეს საქმე. კარგი დაფიქრება და სიმარჯვე იყო საჭირო, რომ არავის არაფერი შეემჩნია. სანამ საპყრობილეში წავიდოდი მამის სანახავად, წინასწარ კარგად ვემზადებოდი, რომ არაფერი დამვიწყებოდა.

ერთ დღეს, ნახვისას მამამ დაფაზე დამიწერა: «მნიშვნელოვან მასალას, საკუთარი ხელით დაწერილ ოც რვეულს გაძლევ. ფრთხილად წაიღე ჰამბურგში, ეს მასალები მნიშვნელოვანია და აუცილებლად ჩვენს ამხანაგებს გადაეცი».

მამამ საზენიტო არტილერიის ჯარისკაცებისაგან გაიგო როდის იცვლებოდნენ გუშაგები. მე სწორედ ამ მომენტით უნდა მესარგებლა და საპყრობილედან დაუბრკოლებლად გავსულიყავი. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იყო მორიგე მცველებს ჩემთვის ყურადღება არ მოექციათ, რადგან სამუშაო დაამთავრეს და შინისაკენ მიეშურებოდნენ. ასეც მოხდა. მე მშვიდობიანად მივაღწიე სადგურს და პირველივე მატარებლით ჰამბურგს გავემგზავრე.

* ირმა ფესტერ-ტელმანმა, ერნსტ ტელმანის ერთადერთმა ასულმა, დაწერა წიგნი წამებულ მამაზე და ყველაფერი, რაც დარჩა ძვირფასი ადამიანისაგან უხახხოვრა ერს, რომელმაც უკვდავყო ერნსტ ტელმანის სახელი. ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ მოგონებიდან.

ერნსტ და როზა ტელმანების

ვერცხლის ქორწილი

1940 წლის იანვრის პირველი რიცხვები იყო. ერთ საღამოს დედამ მიამბო, როგორ ცხოვრობდნენ ის და მამა.

1940 წლის 13 იანვარს მათ ერთად ცხოვრების 25 წელი შეუსრულდათ.

— როდესაც ქალები ხანდახან თავიანთ ქმრებზე ჩამომიგდებდნენ ლაპარაკს, მე მათ გაკვირვებით ვუცქერდი ხოლმე,—ყვებოდა დედა,—მამა და მე ყოველთვის ვმუშაობდით. მამას ყოველ საღამოს პარტიის საქმეები ჰქონდა მოსაწესრიგებელი. წინ ყოველთვის რაღაც ედო ხოლმე. დაბრუნდებოდა თუ არა წარმოებიდან ან ნავსადგურიდან, დაიბანდა, შეჭამდა რაიმეს და რამდენიმე წუთით წამოწვებოდა. ამის შემდეგ მისთვის კვლავ იწყებოდა სამუშაო დღე: კითხულობდა გაზეთს, მეცადინეობდა, კრებებსა და სხდომებზე დასასწრებად ემზადებოდა. იმდენს მუშაობდა, რომ ხშირად ავიწყდებოდა ჩვენი დაქორწინების დღე. მე კი არასდროს არ ვივიწყებდი და ყოველთვის რაიმე მცირედი საჩუქრით გავაკვირვებდი ხოლმე, მაგრამ ის მხოლოდ მაშინ ამჩნევდა ამას, როცა დასაძინებლად მიდიოდა.

— ნეტავ თუ ფიქრობს ჩვენს ვერცხლის ქორწილზე? მე მგონი არ იცის,—იტყოდა დედა.

13 იანვარს დედა ჰანოვერს წავიდა და იქედან განცვიფრებული დაბრუნდა. მამას ნებართვა ეთხოვა ცოტა ყვავილებისა და ნაძვის მწვანე ტოტების ყიდვისა. დაეწნა გვირგვინი, ჭრელ-ჭრელი ყვავილებით ციფრი «25» გამოეყვანა და საკანი დაესუფთავებინა. მაგიდაზე ვაზაში ცოცხალი ყვავილები დაედგა. რამდენადაც საპყრობილის პირობებში ეს შესაძლებელი იყო, ის სადღესასწაულოდ გამოწყობილიყო, თურმე მხნე განწყობილებით ელოდა დედას. დედა ძლიერ ბედნიერი იყო.— ოცდახუთი წლის ერთგული მეგობრობისათვის მადლობას გიცხადებ. ამ ხნის განმავლობაში შენ ჩემთვის კარგი ამხანაგი და ნამდვილი მეგობარი იყავიო,—ეთქვა მამას. ბედნიერი, მხიარული შეხვედრა იყო!—მამამ ბევრი რამ შემატა ჩემს ცხოვრებას. იგი არა მარტო კარგი მამა იყო, არამედ ჩემი ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრიც. მადლობელი ვარ. მისი წყალობით ბევრი რამ ვისწავლე,—მეუბნებოდა დედა.

ერთხელ მამა დედას წერდა: «ჩვენ არ ვცხოვრობდით ხალხის საქმიანობისაგან მოწყვეტილად, მისი ცხოვრებისაგან განდეგილად. მშრომელი ხალხისაგან ჩვენ ყოველდღიურად ვსწავლობდით ცხოვრებას, მის მდინარეში ცურვას. ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ ცხოვრება».

გერმანულიდან თარგმნა **ხ. თურნავამ.**



კოლუმბები. ელენე სიყვარულით შეჰყურებს მიკროსკოპებთან დახრილი ჭაბუკებისა და ქალიშვილების დაძაბულ სახეებს და ცდილობს გონების თვალით გადახედოს მათს ხვალინდელ დღეს. მას ახსენდება თბილი გრძნობით სავსე ის წერილები, რომლებსაც თითქმის ყოველდღე იღებს თავის გუშინდელი მოწაფეებისაგან მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, რიგიდან, ტაშკენტიდან. ისინი არაფერს არ უმალავენ მასწავლებელს თავიანთი ძნელი, მაგრამ მეტად საინტერესო ცხოვრების შესახებ. ეს ახალი ძალითა და ენერგიით ალავსებს ელენეს.

* * *

იასამნის თაიგულით დამშვენებულ მრგვალ მაგიდას ვუზივართ. ირგვლივ მყუდროებაა ჩამომდგარი. ოთახში ოდნავ დუდუნებს რადიომიმღები. ღია ფანჯრიდან ფუნიკულიორის ელნათურების თანავარსკვლავედი მოჩანს. ელენე იღიმება...

— აი, ასეთია ჩემი ცხოვრება, ჩვეულებრივი საბჭოთა ქალის ცხოვრება.

ღიმილი მას გასაოცარი აქვს, რაღაც ბავშვური, მოკრძალებული. ისედაც ახალგაზრდად გამოიყურება. ეს-ეს არის დაბრუნდა კოლოიდური ქიმიის IV საკავშირო კონფერენციიდან, რომელიც აქ, თბილისში ჩატარდა და რომელზეც თავის ლაბორანტებთან—ლია ბერუჩაშვილთან და ლალი ივანიცკაიასთან ერთად გამოვიდა მოხსენებით რენდგენული და გამასხივების მოქმედების შესახებ კოლოიდურ სულფოდებსა და ფეროციანიტებზე. ეტყობა დაღლილია, მაგრამ მაინც ხალისით გვესაუბრება.

ანაზდად რადიომიმღებიდან მძლავრი ამაღელვებელი მუსიკის ხმა მოისმა.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ რამხელა მომავალი აქვს ქიმიას. რამდენად ღრმად არის იგი შეჭრილი ადამიანების ცხოვრებაში. ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა მთავრობამ მეტად სწორედ დააყენეს მისი განვითარების საკითხი. ამ ღონისძიებით გიგანტურ ნახტომს გავაკეთებთ მომავალში.

ოთახს სულ უფრო ავსებდა მძლავრი, ვაჟკაცური სულით გამსჭვალული მუსიკა, როგორც ჩვენს წინ მჯდომი მეცნიერი ქალის სიტყვების ამაღელვებელი დადასტურება.

**ა. კუხრაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ენვერ მამედხანლი

# ყინულის ქანდაკება

მხატვარი ნ ა ნ ი შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი.

ორმოცდაერთი წლის ზამთრის სუსხიანი ღამეა. ყინული გადაკვრია მიდამოს და სიცოცხლე თითქოს ჩამკვდარა. სიცივე გველივით იკბინება და კაცს ძარღვებში სისხლს უყინავს... და ამ ღამეში, უკრაინის თოვლით დაფარულ თვალუწვდენელ ტრამალზე ერთი ლანდი მოძრაობს.

ეს არის ლანდი ახალგაზრდა ქალისა, რომელიც მკერდზე მიხუტებული ბავშვით აღმოსავლეთისაკენ მიიწევს...

ფრიცების მიერ დაკავებულ სოფლიდან გამოქცეული, მოძალადეთა პირუტყვული ქინისაგან თავდაღწეული, თავისი პირმშოს გადასარჩენად მდინარისაკენ მიდის, რომლის იქით საბჭოთა ჯარისკაცების ბანაკი ეგულება. ქალი ჩქარობს, სურს რადაც უნდა დაუჯდეს ბავშვი გადაიყვანოს დიდსა და თავისუფალ მიწაზე. ერთი ფიქრი ასულდგმულებს, თვითონ თუნდ მოკვდეს, ამ სუსხიან ღამეს ემსხვერპლოს, ოღონდ აცოცხლოს თავისი პირველი სიყვარულის მოგონება.

ქალი მიდის შეუსვენებლივ, არ გრძნობს დაღლილობას, მიდის და თვალებით მიაპობს თოვლით დაფარული მინდვრის უკიდეგანო სივრცეს. სუსხი შეუბრალებლად სწვავს სახესა და ხელებს, მაგრამ ეს არ აწუხებს, სხვა საშინელი ფიქრი უტრიალებს თავში ქარიშხალივით—ვაი თუ მკერდზე მიხუტებული ბავშვი იყინება...

დედა უცბად ჩერდება, თვალებგაფართოებული ათვალიერებს მიდამოს, ეძებს მოფარებულ კუთხეს, მყუდრო თავშესაფარს, რომ უფრო კარგად შეახვიოს, გაათბოს თავისი პირმშო.

ქალის წინ, მთვარის შუქზე ორი გრძელი ჩრდილი გაწოლილა. იგი უხმოდ გაჰყვა ჩრდილს და ხეების ქვეშ ჩაიმუხლა, მაშინ იგრძნო, რომ ძალღონე გამოელია... სუსხი ალესილ დანასავით უსერავს სახეს, მაგრამ დედის გულს ისევ ის საშინელი ფიქრი აფორიაქებს—ბავშვი გაიყინება! ვერ გაუძლებს ამ სუსხიან ღამეს...

... არა და არა!—ბობოქრობს დედის გული,—თავის პატარას, რომელიც მხეცებს გამოგლიჯა, ყინვას არ დაანებებს, მის მარწუხებში არ მოაქცევს... დაე, მთელი ქვეყნიერება გაითოშოს, მთელი სიცოცხლე გაიყინოს, გულს ამოიგლეჯს მკერდიდან და მისი მხურვალებით გაათბობს პირმშოს...

დედა შალის ჟაკეტს იხდის და შიგ ახვევს ბავშვს.

დრო ნელა მიზოზინობს, ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენება. ყინვა გავარვარებულ რკინასავით უწვავს სხეულს, მას კი ჰგონია—ცახცახებს და იყინება შვილი.

დედა თავშალს იხსნის და ბავშვს აფარებს. ნახევრად შიშველი სხეული ველარ ემალება ყინვას და ქალი გრძნობს სიკვდილის სუნთქვას, გრძნობს, რომ სახსრებსა და კიდურებს დამბლა ეცემა, მოძრაობის ძალა აღარ შესწევთ.

დედა სწრაფად იხდის თბილ კაბას და შიგ ფუთნის ბავშვს, უნდა აცოცხლოს თავისი პირმშო... დედობრივი სიყვარულით განათებულ ნახევრად გაყინულ ლამაზ სახეს ქალი ბავშვისაკენ ხრის და ნაზად ჩასჩურჩულებს:

— შვილო, მეტი აღარაფერი მაქვს შენს გასათბობად, აღარაფერი, ჩემი გულის გარდა და ისიც, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, მხოლოდ შენ გე-კუთ-ვნის...

დედის თვალებში უკანასკნელად ინთება შვილისადმი სიყვარულის დიადი გრძნობა და ქვავდება.

ერთხანს სპილენძის სიმების რხევასავით ხმაური ჩაესმოდა ყურებში, ეს სიმები თანდათან დაიჭიმენ და აჰა, უნდა გამწყდარიყვნენ, მაგრამ უკვე ქალს აღარაფერი ესმოდა და აღარაფერს გრძნობდა, ყველაფერი ერთბაშად მიყუჩდა...





მხოლოდ ერთხელ შეირხა დედის სხეული, მჭიდროდ აეკრა ზურგით ხეს და მალე ზამთრის სუსხიანმა ღამემ ახალ სამოსში გახვია, ბროლივით გამჭვირვალე ყინულის ლეჩაქი გადააფარა...

მოწმენდილი, ყინულიანი დილა გათენდა... ალესილი მახვილივით ბრწყინავდა ყინულის ანარეკლი მზის სხივებზე.

ხეებთან იდგნენ თეთრხალათიანი მზვერავები, იდგნენ მდუმარედ, ქუდმოხდილნი...

მათ წინ კი ისეთი შემზარავი სურათი იყო გადაშლილი, რომლის მოგონებას ვერ წაშლიან წლები: ხის ძირას აღმართულიყო გაყინული ქალის ქანდაკება. მზვერავები უძრავად იდგნენ, როგორც წმინდა საკურთხევლის წინ.

ბოლოს ერთ-ერთი მიუახლოვდა ყინულის ქანდაკებას, ცნობისმოყვარეობით დახედა ტანისამოსის ფუთას, რომელზეც თავი დაეხარა მიცვალებულს, მღელვარებისაგან ათრთოლებული ხელით გადახსნა შეფუთული და...იქიდან ბავშვის ნათელმა თვალებმა შემოანათეს. ახალგაზრდა კაცი გაფითრდა და აკანკალებული ხმით შეჰყვირა:

— ბავშვი! ბავშვი! ცოცხალია, არ გაყინულა!..—ბავშვი კი იღიმებოდა და წამწამებს სასაცილოდ ახამხამებდა, მზის მოელვარე სხივები ნამძინარევ თვალებსა სჭრიდა.

იმდენად უმანკო, უმწეო და გულუბრყვილო იყო ბავშვის ეს ღიმილი, რომ ბრძოლების ქარცეცხლში გამოვლილმა ვაჟკაცებმაც თავი ვერ შეიკავეს და იმის მიამიტ გამოხედვას საპასუხო ღიმილი შეაგებეს, შემდეგ გულზე მიიხუტეს, წასვლის წინ უკანასკნელად მოკრძალებით დახარეს თავი დაუვიწყარი ქანდაკების წინაშე და სამივეს ზაგეს ერთბაშად ფიცი მოსწყდა, ფიცი მტერზე შურისძიებისა იმ ხიცოცხლისათვის, რომელიც ყინულის ქანდაკებად იქცა თავისი პირმშოს გადასარჩენად.

თარგმნა ა. დავითიანმა.

ჩვენი საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა სისტემატურად აწვდის ნორჩ მკითხველებს ძველსა და ახალს, კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა თხზულებებს, რუსეთისა და უცხოეთის მხატვრული სიტყვის ოსტატთა ნაწარმოებებს.

ახლახან გამოიცა ვაჟა ფშაველას რჩეული (რედ. გ. ლეონიძე).

ადამიანური გრძნობების, ბუნებისა და მამულის მგზნებარე მომღერალი — ვაჟა ფშაველა, გულითადად შეიყვარა ხალხმა და მისი შთაგონებული შემოქმედება თავის საკუთრებად აქცია. ვაჟას ამეტყველებული ბუნება, მის მიერ ამაღლებული კეთილშობილური იდეები და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი სიკეთესა და სილამაზეს, ჰუმანიზმსა და კაცთმოყვარეობას შთააგონებს ჩვენს ახალგაზრდობას.

წიგნში ძირითადად წარმოდგენილია ვაჟას ღრმად ემოციური ლირიკა, მისი უკვდავი პოემები: „ბახტრიონი", „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი" და სხვა. კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პროზას. რჩეულის ერთგვარ ეპილოგს ვაჟას ნაკლებად ცნობილი, მისი დაუმთავრებელი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „ჩემი წუთისოფელი" წარმოადგენს. გემოვნებით გაფორმებულ წიგნს (მხატვარი ლ. გრიგოლია) დართული აქვს ალ. აბაშელის შენიშვნები.

უახლოეს დროში გამოცემულ წიგნთა რიცხვს ეკუთვნის, აგრეთვე, მ. ლერმონტოვის ზღაპარი „აშულ-ყარიბი". როგორც რუსული ლიტერატურის ბევრი კლასიკოსისათვის, ასევე ლერმონტოვისთვისაც კავკასია, კერძოდ საქართველო, რომანტიკის სიმბოლო და პოეტური შთაგონების წყარო იყო. ამიტომაც არა ერთი და ორი მგზნებარე სტრიქონი უძღვნა მან ამ მშვენიერ მხარეს, ამიტომაც მოიყვანა აქ თავის ნაწარმოებთა საყვარელი გმირები...

„აშულ-ყარიბის" მოქმედება თბილისში იწყება. აქ, „ვაზის ჩრდილოვან, ხეივნიან "ქალაქში ჩაისახა აშულ-ყარიბისა და მაგულმეგერის მიჯნურობა, მიჯნურობა უიმედო და უმომავლო... სიღარიბე და უჩინობა კედლად აღმართულა მათ შორის. მაგრამ ქვეყანა ვრცელია და დიდი, აშულ-ყარიბი ძალოვანი ვაჟკაცია და განა მას არ ძალუძს გახდეს მდიდარი და სახელოვანი? მაშინ ხომ ვერც აიაკ-აღა და ვერც ვერვინ შესძლებს მათ გათიშვას...

მართლაც, შვიდი წლის ხეტიალის შემდეგ აშულ-ყარიბი უბრუნდება მშობლიურ ქალაქს, თვალებს უხელს დარდისაგან დაბრმავებულ დედას და უკვე სახელმოხვეჭილი, მდიდარი შეუუღლდება თავის ერთგულ მიჯნურს.

მ. ლერმონტოვის ეს ზღაპარი პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე. მთარგმნელმა ი. საათაშვილმა ოსტატურად გადმოიტანა ლერმონტოვისეული ზღაპრის მხატვრული სიმშვენიერე და ენის ლაზათი.

პატარა მკითხველები სიამოვნებით წაიკითხავენ მას.

საბლიტგამმა ამასწინათ გამოსცა ლადო მრელაშვილის მოთხრობა „იყალთოელი ბიჭები". ახალგაზრდა მწერალმა მიმზიდველად დაგვისურათა იყალთოელი პიონერების სიცოცხლით სავსე ცხოვრება, დამაჯერებლად, უბრალოდ მოგვითხრო ბავშვების საქმიანობაზე, მათ ფიქრებსა და გატაცებებზე. ყმაწვილის გონება ყოველთვის აკრძალული საიდუმლოების, შეუცნობელის გაგებას ლამობს. პიონერ სანდრო ბუჩუკურთელის ბავშვური ფანტაზია იყალთოს ისტორიული აკადემიის გვირაბის საიდუმლოებამ გააღიზიანა. მან თავის მეგობრებთან ერთად განიზრახა თავად ეხილა ყოველივე, მაგრამ როგორ? ბაბუა გროზნა საშიშ გუშაგს წარმოადგენდა მათთვის. ხელმიუწვდომლობამ გააცხოველა პატარა ონავრების ინტერესი. გადაწყდა, ჩასულიყვნენ გვირაბში და მის სისრულეში მოყვანას შეუდგნენ. მრავალ ხიფათს გადაეყარნენ იყალთოელი ნორჩი „ფათერაკის მაძიებლები". მაგრამ მაინც თავისი გაიტანეს და რაზმის ახალი პიონერ-ხელმძღვანელის დახმარებით გამოააშკარავეს გვირაბის საიდუმლოება.

მოთხრობა საინტერესოდ იკითხება. ახალგაზრდა მწერალმა შესძლო ღრმად ჩასწვდომოდა ბავშვის ბუნებას და მის ხასიათს, რეალურად აესახა ყმაწვილის თავისებური სამყარო.

რ. მელაძე.



# შრომაში ჰპოვეს ბედნიერებას

ღამის 12 საათია.

ამ დროს კრწანისის საჯიშე საბჭოთა მეურ·ეობის მწველავი ნელი ქაჯაია ჩვეულებრივად სახლშია. ძილის წინ სიყვარულით დახედავს პატარა შვილისშვილებს—ვალერის და შოთას. ნაზად მოეფერება, ჩაჰკოცნის... მალე ოთახში სინათლე ქრება და ოჯახი მშვიდ ძილს ეძლევა.

თებერვლის ის ღამე კი სხვა ღამეებს როდი ჰგავდა. მესამე ღამეს ათენებდა ფერმაში ნელი. ძროხა „თათარკას“ მშობიარობის შემდეგ პარეზი (დამბლა) დაემართა და მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

ცრემლიანი თვალებით დაჰყურებდა ნელი „თათარკას“. აგონდებოდა, როგორი სიხარულით ჩაიბარა ხოლმოგორული ჯიშის დეკეული მოსკოვის ოლქის რამენსკის რაიონის სოფელ ტიმოწინოს კოლმეურნეობის წევრების საჩუქარი. დეკეული შვილივით გამოზარდა. ახლა უკვე მისგან მესამედ იღებდა ნამატს და ლამის ხელიდან გამოეცალოს. სხვა გზა არ იყო, ღამის 2 საათზე ჩამოიყვანეს ორთაჭალიდან ექიმი ნინო ალნიაშვილი. ყურადღებამ და მკურნალობამ ძროხა სიკვდილს გადაარჩინა.

ახლაც ფერმაში რომ შევა, ნელი პირველად „თათარკას“ მოეფერება, ზურგზე ხელს გადაუსვამს, საკვებს მიაწვდის. ძროხა ნელა შეზმუვლებს, თითქოს მადლობას უხდისო ამაგდარ მომვლელს.

ძროხები ხმაზე სცნობენ ნელის. თუ რაიმე შემთხვევის გამო იგი ფერმაში არ მოვიდა, სხვებს ახლოს არ გაიკარებენ, მშვიდი ძროხები ჭირვეულნი ხდებიან: ხან საჭმელს არ სჭამენ, ხან ცურს აიწ·ჲავენ—რძე·ა არ იძლევიან.

17 ძროხა აბარია ნელი ქაჯაიას. დღეში სამჯერ სწველის მათ. მისი სამუშაო დღე დილის 5 საათზე იწყება. ძროხებს გამოკვებავს, მოწველის, უვლის. თავის საქმის მოყვარულ ქალს კარგად აქვს შესწავლილი თვითეული ძროხის ხასიათი. განსაკუთრებით იცის რა კვება სჭირდება თვითეულს, რომ მეტი რძე მოიწველოს. „ნათელა“, „კუკლა“ და „რიჟა“ კოპტონს პირს არ აკარებენ, სამაგიეროდ ქატოს და ლუდის ნახარშს სიამოვნებით მიირთმევენ. „ბოლოზას“ მშრალი საჭმელი ყველაფერს ურჩევნია. „ვერა“, „მანანა“, „უმნიცა“ ყველა საკვებს კარგად ეგუებიან.

ენერგიულმა შრომამ ცნობილი ქალი გახადა ნელი ქაჯაია. იგი შარშან მესამეჯერ იყო სრულიად საკავშირო სახოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე. საქართველოს სსრ პავილიონში ყოველწლიურად სპეციალური სტენდია მოწყობილი მისი გამოცდილების ფართო ჩვენებისათვის.

1955 წელს ნელიმ თვითეულ საფურაქე ძროხაზე 2500 ლიტრის ნაცვლად, 3442 ლიტრი რძე მიიღო, 1956 წელს კი, 2850-ის მაგიერ, 3483 ლიტრი. 1955 წელს სრულიად საკავშირო სახოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტმა შესანიშნავი მწველავი ვერცხლის პატარა მედლით დააჯილდოვა, 1956 წელს კი ოქროს პატარა მედლით.

1956 წელს მოპოვებული წარმატებებით მან ჩვენს რესპუბლიკაში მეორე ადგილი მოიპოვა და რესპუბლიკის საუკეთესო მწველავის წოდება დაიმსახურა.

ნელი სათუთად ინახავს სრულიად საკავშირო სახოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობისათვის მიღებულ მედლებს, სიგელებს, უამრავ ჟურნალ-გაზეთებს, სადაც მის შესახებ სწერია, ფასიან ჯილდოებს: რადიო-მიმღებებს—„ბალტიკას“ და „არ-ზის“, საკერავ მანქანას, მაჯის საათს, მაღვიძარ საათს.

მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ნელიმ 8 ტონაზე მეტი რძე ჩააბარა სახელმწიფოს. სწორედ ნელი ქაჯაიას და მისი მეგობრების მარია ალფაროვას, სოფიო მანუკიანის, სოფიო ცინცაძის და სხვათა უანგარო შრომის შედეგია ის, რომ № 3 ფერმა, სადაც ისინი მუშაობენ, გადაჭარბებით ასრულებს წველადობის გეგმებს. შარშან თვითეულ ძროხაზე 374 ლიტრით მეტი რძე მიიღეს, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

ნელის წარმატებაში ცოტა წვლილი როდი მიუძღვის ტიმონინოელ კოლმეურნეებთან მეგობრობას.

— ბედნიერ დროში ვცხოვრობ, უბრალო მშრომელი ადამიანის შრომას ფასი აქვს, წინათ მე მოსკოვს ვინ მაჩვენებდა,—ხშირად იტყვის ხოლმე ნელი და სიამოვნებით იგონებს რუს მეგობრებთან ყოფნის ბედნიერ დღეებს,—ისე შეგვხვდნენ, როგორც ღვიძლ და-ძმებს. დაგვათვალიერებინეს თავიანთი შესანიშნავი ფერმები. სადაც შრომატევადი პროცესები მექანიზებულია. პირველი გაცნობისთანავე დავმეგობრდით მე და ტიმონინოელი სოციალისტური შრომის გმირი მწველავი ნოვიკოვა. მოსკოველები ჩვენც გვეწვივნენ, ბევრი რამ ვისწავლეთ მათგან. ისინი პრაქტიკულად დაგვეხმარნენ მუშაობის უკეთ მოწყობაში.

— ოცდაერთი წელია ფერმაში მუშაობს ნელი და ჯერ მისთვის შენიშვნა არ მიგვიცია, ამბობენ ფერმის გამგე ა. ყორღანაშვილი, ვეტექიმი ნ. ალნიაშვილი და ბრიგადირი კ. თურმანიძე,—მან იცის რა არის გასაკეთებელი და მითითება არ სჭირდება, ის კარგად არის დაუფლებული წველის ტექნიკის პროცესებს და ხბორების მოვლას.

ნელის მეუღლე სამამულო ომში დაეღუპა, ქალ-ვაჟი დარჩა და მათ გამოზრდას ქვრივმა დიდი ენერგია მოახმარა. ახლა ვაჟი ფერმაში მუშაობს დედასთან ერთად, ქალი მე-7 კლასის მოსწავლეა. თავისუფალ დროს დედას ეხმარება. რძალიც კარგი ჰყავს. ნელი ღვიძლი შვილებისაგან როდი არჩევს მას.

— მომავალ წელს ახალ ბინაში მესტუმრეთ, — გვპატიჟებს ნელი,—ახალ სახლს ვიშენებთ მე და ჩემი შვილები. კედლების თითქმის ნახევარი ჩვენი ხელით ამოვიყვანეთ, ეზოში ვაზი და ხეხილი დავრგეთ.

ნელის თვალებში სიხარული ბრწყინავს.

— წელსაც 500 ლიტრით გადავაჭარბებ წველადობის გეგმას. ნამატს მთლიანად გამოვზრდი,—ამბობს ის.

ნელი მტკიცე სიტყვის ქალია. ამ დაპირებას ის უსათუოდ შეასრულებს.

მარიამ დელგაშიშვილი,
მედეა რამიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა




ა. ვიგო—„პურისა და თავისუფლებისათვის".



„იძინეთ მშვიდად!" —მხატვარი ზ. გოგოლაშვილი




„ეს არ მოხდება!“ —მხატვარი ნ. მაღაზონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„ეშმაკუნები“. რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეჩაიე ქალთათვის

ვალენტინა რატიანი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ლამაზია საქართველოს მთა და ბარი, ბაღებითა და ვენახებით დახუნძლული მისი მიდამოები, თვალს იტაცებს აჭარისა და გურიის მთების კალთებსა და ფერდობებზე, სამეგრელოს, აფხაზეთისა და იმერეთის მადლიან მიწაზე გადაჭიმული ასეულ ჰექტრობით ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები—საკოლმეურნეო სოფლის ბარაქისა და დოვლათის წყარო.

ჩაის კულტურა ქართველი ხალხის სიამაყეა. საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის მთელი პროდუქციის 97 პროცენტს სწორედ საქართველო იძლევა. მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახეს დიდად საპატიო და პასუხსაგები ამოცანა — უახლოესი ათი წლის მანძილზე უზრუნველყოფილ იქნას მეჩაიეობის ისეთი განვითარება, რომ საქართველომ მთლიანად დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება ჩაიზე.

ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს ადგილობრივი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას. მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის მოსავლიანობის გადიდების აურაცხელი რეზერვებია.

ცნობილია, რომ ჩაის კრეფის საქმეში გადამწყვეტი ძალა ქალებია. სეზონზე საკოლმეურნეო ჩაის პლანტაციებში ათასობით ქალი მუშაობს, თავდახრილები, გამალებით კრეფენ ჩაის ფოთოლს, მათ არც მზე აშინებთ და არც წვიმა. რესპუბლიკაში მრავლად არიან ჩაის მკრეფავი ქალები, რომელთა სახელები კარგახანია გასცილდა საქართველოს ფარგლებს. ვინ არ იცნობს, მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის წევრს ა. ქიქავაძეს, გალის რაიონის სოფელ ოქუმის კოლმეურნეობის წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოციალისტური შრომის გმირს ი. ბულისკერიას, მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის კოლმეურნეობის მეჩაიეს ს. ქურიძეს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის წევრს ნ. შანავას და სხვა მრავალს.

ჩაის კრეფა საკმაოდ რთული და მეტად შრომატევადი სამუშაოა. ეს სამუშაო ჯერჯერობით ხელით სრულდება. სწორედ ფოთლის დროულ კრეფას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის, მისი, თუნდაც ერთი დღით, დაგვიანება იწვევს ფოთლის გაუხეშებას, ხარისხის დაცემას. ამიტომ მეჩაიე ქალები ჩაის კრეფენ ყოველგვარ ამინდში—მზეშიც და წვიმაშიც.

ხშირად რამდენიმე დღის განმავლობაში გადაუღებლად წვიმს, ქალები მეტწილად საწვიმარ მოსასხამებში მუშაობენ, რაც აძნელებს მოძრაობას, ფეხები და მუცლის არე კი სველდება. ეს თავის მხრივ ანელებს კრეფის ტემპებს.

ჩაის მკრეფავ ქალთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობამ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებები დასახა ამ დარგში.

უკვე დამზადებულია და ადგილებზე გაიგზავნა სპეციალური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სათითეები, თითების დაზიანებისაგან დასაცავად.

ამასწინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაის რაიონებში გაგზავნა 17 ბრიგადა 35 ქალის შემადგენლობით. გაგზავნილთა შორის იყვნენ პარტიული მუშაკები, ექიმები, საბავშვო ბაღის სპეციალისტები. ბრიგადის წევრებმა კოლმეურნეობებში გამართეს საუბრები.

ჩაის მკრეფავმა ქალებმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებები და განაცხადეს, რომ ამ დიდ ზრუნვას უფრო ენერგიული შრომით უპასუხებენ.

მიმდინარე სეზონზე ჩაის რაიონებში გაიხსნება 600-ზე მეტი საბავშვო დაწესებულება (ბაღები, ბაგები, მოედნები), ჩაის პლანტაციებში აიგება ათასობით ფარდული, ჩაის მკრეფავი ქალები პლანტაციებში მუშაობისას უზრუნველყოფილი იქნებიან ცხელი საჭმელითა და სასმელი წყლით.

მეჩაიე ქალებისათვის ადგილებზე უკვე გაიგზავნა 40 ათასამდე სპეციალური წყალგაუმტარი შარვალი, 43 ათასზე მეტი რეზინის ჩექმა, 28 ათასი ქილის ქუდი, 3.400 საწოლი, დიდი რაოდენობის სათითეები და სხვ. სეზონზე ყველა მეჩაიე ქალი იქნება უზრუნველყოფილი სპეციალური ტანისამოსითა და ფეხსაცმლით.

ამ ღონისძიებათა განხორციელება გააუმჯობესებს კოლმეურნე ქალთა შრომის პირობებს, აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, უფრო მჭიდროდ დარაზმავს მათ ჩაის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნატო ვაჩნაძე. პორტრეტი.



ნუნო. „არსენა".



ნუნუ. „მამის მკვლელი"



ეხმა. „ხამი ხიცოცხლე".



მაშა. „ცოცხალი ლეში."

# ქართული ეკრანის ეშხი და სილამაზე



ნინო. „არსენა ყაჩაღი."

არ ვიცი, დადგება ოდესმე დრო, რომ ნატო ვაჩნაძე მხოლოდ „მოგონება" დარჩება ჩემთვის? გავიდა წლები და ის ცოცხლობს ჩემს მეხსიერებაში, თითქოს გუშინ ტრიალებდა ჩვენს შორის და ავსებდა ჩვენს ცხოვრებას.

ამბობენ, რომ ადამიანის სახე მისი სულიერი სამყაროს სარკე არისო — იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც ეს გამოთქმა ასე რიგად უხდებოდეს როგორც ნატოს. ნათელი, გაცისკროვნებული, უცნაურად, მიმზიდველი და გასაოცარი ლამაზი — ასეთი იყო მისი გარეგნობა, ასეთივე იყო მისი სულიერი სამყარო, ასეთი იყო ის ცხოვრებაში, ასეთივე — ხელოვნებაში.

ეს არის ის იშვიათობა, რომელიც უკვდავყოფს ადამიანს.

ქართველი ქალის მშვენიერი სახე ნატომ პირველმა შექმნა ქართულ ეკრანზე. მან მოუთხრო მთელ ქვეყანას ქართველი ქალის წარსულის უკუღმართი ბედის ამბავი, მან პირველმა გამოამჟღავნა ეკრანზე კეთილშობილი, სათნოებით აღსავსე, სულით მდიდარი, მიმზიდველი და ყველაზე ლამაზი ქართველი ქალის ბუნება. განა ეს ცოტა არის შემოქმედისათვის, რომლის სიცოცხლის მანძილი არც თუ ისეთი გრძელი იყო? განა ეს უდიდესი ღვაწლი არ არის ქართული ხელოვნების წინაშე? ხოლო ცხოვრებაში მუდამ მოუსვენარი, მუდამ დაუცხრომელი ენერგიით აღსავსე, გატაცებული ყოველი ახალი მოვლენით, შეყვარებული დღევანდელობაზე, უანგარო მეგობარი და ამხანაგი. ნატო იყო სილამაზე საქართველოსი, ყველაზე ფეროვანი ყვავილი, რომელიც ჩვენს ეპოქაში ჩვენმა მიწამ შობა.

ერთხელ სულ ახალგაზრდამ, ყველასათვის უცნობმა გოგონამ დაიძინა, და გაიღვიძა უკვე სახელგანთქმულმა. მას აქეთ მისი პოპულარობა გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა, და არ იყო ჩვენს დიდ კავშირში ადამიანი, რომლის ნატვრა არ ყოფილიყო — ენახა ცოცხალი ნატო ვაჩნაძე.

მახსოვს, მოსკოვში ნატო და მე შევედით ტრეტიაკოვის გალერეაში. უცბად გავარდა ხმა, რომ დარბაზში ნატო ვაჩნაძე იმყოფებაო. ყველა დარბაზი დაცარიელდა. უამრავი ხალხი გარს შემოერტყა ნატოს, ყველას უნდოდა მისი სახე დაენახა. ნატო ველარ იძროდა ადგილიდან, ძლივს გამოვგლიჯე ხელიდან ახალგაზრდებს. ქუჩაში იგივე ამბავი! იმ დღეს ვერ დაგვცალდა ვერსად შესვლა. ხალხი მოგვდევდა უკან. ნატო თმაგაშლილი, პატარა ფერადი უზბეკური ქუდით თავზე, მოკრძალებული ღიმილით სახეზე — ისეთი ლამაზი იყო, რომ მეც დატყვევებული ვერ ვაშორებდი თვალს. და რამდენი ასეთი ამბავი მახსოვს!

ხშირად ვიყავით ერთად, და ყოველთვის ჩემ თავს ვიჭერდი იმაში, რომ საათობით თვალს ვერ ვაშორებდი ნატოს ღვთაებრივ სახეს, და ისეთ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ვგრძნობდი, რაც მხოლოდ ხელოვნების დიდმა ნაწარმოებმა შეიძლება გაგრძნობინოს. მაგრამ ნატო ამ ძვირფას განძს ისე ატარებდა, თითქოს ვერც კი გრძნობდა.

რომში, წმინდა პეტრესა და პავლეს უზარმაზარ სობოროში, სადაც უამრავი უძვირფასესი ხელოვნების განძეული არის თავმოყრილი, მარჯვნივ, კუთხეში, მოკრძალებით დგას მიქელ-ანჯელოს „პიეტა", თავდახრილი მარიამი და მის მუხლებზე დასვენებული ქრისტე. თეთრ მარმარილოდან ჩამოქნილ ქანდაკებას ამუქებს ვიწრო სარკმლით შემოჭრილი მზის სხივი და თითქოს გამჭვირვალე ხდება შესანიშნავი ქმნილება ბუმბერაზი ხელოვანისა — მიქელ-ანჯელოსი. თითქოს სუნთქავს მარიამი, თითქოს მისი პატარა ხელები ველარ უძლებენ სიმძიმეს, და აგერ, საცაა ქრისტე ჩამოუცურდება კალთიდან... გინდა მიეშველო მარიამს!.. ცრემლებით ამევსო თვალები, ველარ მოვშორდი ქანდაკებას, — თითქოს თეთრი მტრედი შემოფრინდაო ამ უზარმაზარ, აჭრელებულ დარბაზში, დაჭრილი მტრედი, რომლის ფრთები ოდნავ ფართხალებს. ახლაც თვალწინ მიდგას, ისეთი ძლიერი იყო შთაბეჭდილება.

ასევე თვალწინ მიდგას ნატოს სახე. ასეთივე შთამბეჭდავი იყო მისი უკანასკნელი სვლა ამ ხუთი წლის წინათ. მზიანი დღე, თბილისის ამწვანებული ქუჩები და ზღვა ხალხით გარშემორტყმული, შავ სამოსში გახვეული ნატო! მხოლოდ ერთი თეთრი ვარდი ირთოდა შავ ხავერდზე, ირთოდა და თითქოს უკანასკნელ სალამს აძლევდა ხალხს, რომელსაც ეგრე რიგად უყვარდა ნატო ვაჩნაძე.

**ვერიკო ანჯაფარიძე,**
სსრკ სახალხო არტისტი.



გიული. „გიული".

## მუსიკალური აღზრდის შესახებ

# რომ უყვარდეთ და ესმოდეთ მუსიკა

ყველასათვის ცნობილია, როგორ ღელავს დედა შვილის მუსიკალურ სასწავლებელში მიღებისას. ეს არც გასაკვირია, საზოგადოების სულიერი მოთხოვნილება ხომ დღითიდღე იზრდება და მშობელსაც სურს, რომ მისმა შვილმა მუსიკალური განათლება მიიღოს. მაგრამ განა სავალდებულოა, რომ ყველა ბავშვი მუსიკალურ სკოლაში სწავლობდეს? რა თქმა უნდა არა! ეს მისწრაფება გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, მით რომ ჩვენი საერთო-საგანმანათლებლო სკოლა ბავშვს ვერ აძლევს სათანადო ცოდნას მუსიკაში. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სკოლაში სიმღერა ისწავლება მხოლოდ დაწყებით კლასებში, ისიც ძალიან ცუდად. მუსიკას ასწავლიან უმთავრესად არასპეციალისტები, ბავშვები მღერიან მას, რაც იციან ან მოუსმენიათ.

ასეთი სახის მუსიკალური აღზრდა ჩვენს ბავშვებს ბევრს ვერაფერს მისცემს.

ხშირია შემთხვევა, რომ ახალგაზრდა კარგი სმენით გამოირჩევა მაგრამ არა აქვს სათანადო განათლება და გემოვნება, რის გამოც ექცევა დაბალხარისხოვანი მუსიკის გავლენის ქვეშ. სიმფონიური და კამერული მუსიკის კონცერტებს, საოპერო სპექტაკლებს იგი ინტერესით უნდა ესწრებოდეს. სწორედ ახალგაზრდობის პერიოდში ეცნობა ადამიანი კლასიკოსებს, ჩვენ კი ხშირად საწინააღმდეგო მოვლენას ვხედავთ, რისი მიზეზიც მოსწავლეთა არასწორი მუსიკალური აღზრდაა.

ახალგაზრდას არამარტო ელემენტარული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს მუსიკაზე, არამედ მას უნდა შეეძლოს ნოტების თავისუფლად წაკითხვა, მაშინ გაიგებს მუსიკას და ეყვარება იგი.

მუსიკის გაგება და განცდა ადამიანს უმუშავებს არამარტო მხატვრულ გემოვნებას, არამედ ხასიათის საუკეთესო თვისებებსაც.



დუშეთის მუსიკალური სკოლის მეორე კლასის მოსწავლეებს ლ. ბოჯღუას, ც. წასურაშვილს პედაგოგი ლ. გეჯაძე უხსნის ახალ გაკვეთილს.

ფოტო შ. გოქაძის.



ერთი ქართველია, მეორე ჩინელი. ერთი თბილისელია, მეორე — თბილისის დროებითი სტუმარი. და მათ წლოვანებაშიც დიდი განსხვავებაა, მაგრამ საერთო მაინც აქვთ ლიანა ისაკაძეს და ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს ლიუ-ში-კუნს—მუსიკის სიყვარული. ამიტომაც არაფერია, რომ ერთმანეთის ენა არ ესმით, რომ ადრე არ იცნობდნენ ერთმანეთს. თითქოს დიდიხანია მეგობრობენ—უხიტყვოდაც ყველაფერი გასაგებია.

ფოტო მ. როსტიაშვილის.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ თბილისის ზოგიერთ სკოლაში შექმნილია ე. წ. მუსიკალური ნაწილი, სადაც მეცადინეობა იმავე პროგრამით მიმდინარეობს, როგორც მუსიკალურ სკოლებში. მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში მეცადინეობის პარალელურად იმეცადინონ მუსიკაშიც, რაც აადვილებს დროის რაციონალურად გამოყენებას. ეს ნამდვილად ძალიან კარგია, მაგრამ არასაკმარისი.

მოსწავლეთა წესიერი მუსიკალური აღზრდისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყველა სკოლაში შემოღებულ იქნას მუსიკის, როგორც სავალდებულო საგნის, სწავლება პირველი კლასიდან მე-10 კლასის ჩათვლით, ისე, როგორც ეს დიდიხანია ხორციელდება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

მაშინ მუსიკალური სკოლები განიტვირთება დიდი კონკურსისაგან, ამასთან ამ სკოლებში შევა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული და მუსიკაში სპეციალური ცოდნის მიღების მსურველი თაობა.

სკოლადამთავრებული ახალგაზრდები ყოველმხრივ მომზადებული უნდა იყვნენ, მითუმეტეს, ბუნებით მუსიკალური ქართველი ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ხალხური მუსიკის უმდიდრესი მემკვიდრეობა.

**მერი დავითაშვილი,**
კომპოზიტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი გამოცდილებიდან

**სტალინის სახელობის თბილისის** პირველ საშუალო სკოლაში ბოლო წლებში მხატვრულ-მუსიკალური აღზრდის კარგი ტრადიციები შეიქმნა. მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მუსიკალური ჯგუფები პირველად ამ სკოლაში ჩამოყალიბდა.

სკოლის მუსიკალურ ჯგუფებში სწავლება დაახლოებით იმდაგვარია, როგორც მუსიკალურ სკოლაში. როგორც წესი, ბავშვები ეუფლებიან სპეციალურ და თეორიულ საგნებს. მუსიკალურ ნაწილს აქვს საფორტეპიანო, ვიოლინოს, ჩელოს და ხალხური ინსტრუმენტების კლასები. ამჟამად პირველ, მეორე, მესამე კლასებში და მოსამზადებელ ჯგუფებში სწავლობს 200-მდე მოსწავლე, მათ 34 გამოცდილი პედაგოგი ამეცადინებს.



**თბილისის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეები მუსიკის თეორიის გაკვეთილზე. ფოტო ზ. ქვანთას.**

ორიოდე წელია, რაც პირველ სკოლაში შეიქმნა მუსიკალური ჯგუფები, მაგრამ სწავლებამ უკვე სასურველი ნაყოფი გამოიღო. ამასწინათ მუსიკალური ნაწილის მოსწავლეები რადიოში გამოვიდნენ კონცერტით, ტელემაყურებელთა წინაშეც წარსდგნენ. მიმდინარე წლის იანვარში ნორჩ მუსიკოსთა საქალაქო დათვალიერებაზე სკოლამ პირველი ადგილი დაიკავა, მაღალ აკადემიურ დონეზე ჩაატარა კონცერტი და კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

ახლა მუსიკალური ნაწილის სრულ განკარგულებაშია სამი საკლასო ოთახი. მომავალი სასწავლო წლიდან ოთახებისა და ინსტრუმენტების რიცხვი გაიზრდება და უფრო მეტად განმტკიცდება ტექნიკური ბაზა. გათვალისწინებულია მოსწავლეებმა მუსიკალური განათლება მიიღონ 7 კლასის ფარგლებში. ჯგუფებში ისწავლის 500-მდე მოსწავლე.

პირველი საშუალო სკოლა ჯერჯერობით ერთადერთია რესპუბლიკაში, სადაც გაიხსნა მუსიკის კაბინეტი. კაბინეტს აქვს ფორტეპიანო, მაგნიტოფონი, რადიოლა, საკრავი ინსტრუმენტები, მცირე ფონოტეკა, გრამჩანაწერებისა და სანოტო-მუსიკალური ლიტერატურის ბიბლიოთეკა.

მუსიკის კაბინეტში დაწყებითი სკოლის მოსწავლეთათვის ტარდება სიმღერა-მუსიკის გაკვეთილები (რაც დაწყებითი სკოლის პროგრამით არის გათვალისწინებული). გაკვეთილებზე მოსწავლეები ეცნობიან მუსიკის ანბანს, ისმენენ გრამჩანაწერებსა და ფირზე ჩაწერილ სხვადასხვა ნაწარმოებებს, ეჩვევიან მათ გაანალიზებას, მუშაობენ რიტმისა და სმენის განვითარებაზე, სწავლობენ სიმღერებს, გამოჩენილი მუსიკოსების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

როგორც ცნობილია, მომავალი სასწავლო წლისათვის გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მუსიკალური აღზრდის საქმის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ, სიმღერა-მუსიკის სწავლების შემოღება მთლიანად შვიდწლედში.



**დღეს ელისოს დაბადების დღეა. დილიდან მოუსვენრობდნენ თბილისის მე-10 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. და როცა პატარა დიასახლისმა მეგობრები ტკბილეულზე მიიწვია, ვინ საჩუქარი მიუტანა, ვინ ყელზე მოეხვია...**

**გავა დრო და დასტოვებენ ამ კერას, ერთმანეთსაც. მეგობრობა კი? ეს გრძნობა თან გაჰყვებათ, ცხოვრებაში გზას გააკვლევინებს, გაამხნევებს. ის მოაგონებს მათ ზღაპრულ დღეებს, უზრუნველები რომ იყვნენ, ოცნებით რომ მოივლიდნენ ქვეყანას. და ბავშვობაც დაბრუნდება.**

**ფოტო ნ. მარასალოვის.**

პირველი სკოლა ამ ღონისძიებებს მომზადებული ხვდება. სკოლაში უკვე ჩამოყალიბებულია პიონერთა სიმღერის გუნდი, რომელსაც თავისი საქმის კარგი მცოდნე ვლადიმერ ჭუმბურიძე ხელმძღვანელობს. გუნდში ასი მოსწავლეა გაერთიანებული. ქალაქის პიონერთა სიმღერის გუნდების დათვალიერებაზე, რომელიც ა. წ. თებერვალ-მარტში ჩატარდა, ჩვენი სკოლის მომღერალთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. სკოლაში ჩამოყალიბებულია, აგრეთვე, ქართული ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრი.

საშუალო სკოლებში მხატვრულ-მუსიკალური აღზრდის მყარ ნიადაგზე დაყენება იმის გარანტიაა, რომ ჩვენს საზოგადოებას შეემატება ფაქიზი გრძნობის ადამიანები, მუსიკალურ აუდიტორიას — განათლებული მსმენელები, სცენას — შესანიშნავი ოსტატები.

**ჯ. მუჯირი,**

**სტალინის სახელობის თბილისის პირველი საშუალო სკოლის მუსიკალური ნაწილის სასწავლო ნაწილის გამგე.**



**თბილისის მუსიკალური ათწლედის მოსწავლეების მ. ლეჟავას და ლ. ჩხარტიშვილის გულმოდგინებით კმაყოფილია პედაგოგი შ. შანიძე.**

**ფოტო თ. გაბელიას.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩვილ ბავშვთა კვება

ერთერთი ძირითადი პირობა ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის სრულყოფილი კვებაა.

პირველი წლის განმავლობაში, როდესაც ბავშვის ყველაზე უფრო ინტენსიური ზრდა-განვითარება ხდება (ახალშობილი ერთი წლისათვის ასამკეცებს თავის წონას), მისი ორგანიზმი საჭიროებს ცილოვან ნივთიერებათა (რძე, მაწონი, ხაჭო, კვერცხი, ხორცი) გადიდებულ რაოდენობას, რომლის შეთვისება და გამოყენება მოხდება მხოლოდ შესაბამი რაოდენობის ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მარილების სათანადო მიწოდებით.

როგორც წესი, პირველი 5 თვის განმავლობაში ბავშვი უნდა იკვებებოდეს მხოლოდ დედის რძით. ბავშვის ასეთ კვებას ბუნებრივი კვება ეწოდება.

ბუნებრივი კვების დროს ყურადღება უნდა მიექცეს კვების სიხშირეს, ხანგრძლივობას, სიზუსტეს, მიღებული საკვების რაოდენობას, ვიტამინებით უზრუნველყოფას და დამატებითი საკვების დროულ მიწოდებას.

კ ვ ე ბ ი ს ს ი ხ შ ი რ ე. რადგან პატარა ბავშვის კუჭი, განსაკუთრებით კი ოთხი თვის ასაკამდე, ვერ გამოყოფს საკმარისი რაოდენობის კუჭის წვენს, მიღებული რძის მონელებას ის სულ ცოტა 3 საათი მაინც უნდება. ამიტომ $2^{1}/_{2}$-3 კვირამდე ბავშვმა დღე-ღამეში საკვები 6-ჯერ უნდა მიიღოს, $2^{1}/_{2}$—3 კვირიდან 3—4 თვემდე — 6—5-ჯერ, ხოლო 4 თვიდან 1 წლამდე — 5—4-ჯერ.

ძ უ ძ უ ს წ ო ვ ე ბ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ბ ა არ უნდა აღემატებოდეს 15—20 წუთს, რადგან ჯანმრთელი ბავშვი უკვე პირველი 5 წუთის განმავლობაში გამოსწოვს მისაღები ულუფის 50 პროცენტს. ჭამიდან ჭამამდე თანაბარი შუალედები და თვით წოვის ხანგრძლივობა ზუსტად უნდა იქნეს დაცული და მუდამ ერთნაირი უნდა იყოს. გარდა ამისა, მეძუძურ ქალს რძე რომ არ დაეკარგოს, საჭიროა ბავშვის კვების დამთავრების შემდეგ ძუძუში დარჩენილი რძე გამოიწუროს ბოლომდე.

ბავშვმა საკვები გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ უნდა მიიღოს, რომ მისი კუჭი არ გადიტვირთოს. 8 კვირის ბავშვმა დღე-ღამეში უნდა მიიღოს 800 მილილიტრი რძე, უფრო ნაკლები ასაკისამ — იმდენი 50 მილილიტრით ნაკლები, რამდენი კვირითაც ნაკლებია ბავშვი 8 კვირაზე. 8 კვირის ზევით ყოველ მომდევნო თვეზე ბავშვმა უნდა მიიღოს 50 მილილიტრით მეტი რძე, ოღონდ არა უმეტეს ერთი ლიტრისა დღე-ღამეში. იღებს თუ არა ბავშვი საკმარისი რაოდენობით რძეს, ამას მისი წონის ნამატი გვიჩვენებს.

ერთი წლის ასაკამდე ბავშვი დღეში საშუალოდ 20 გრამს უნდა იმატებდეს. წლის პირველ ნახევარში ნამატი წონა თვეში 600 გრამს, ხოლო წლის მეორე ნახევარში — თვეში 500 გრამს უნდა შეადგენდეს. თუ ბავშვი წონის წესიერ მატებას არ იძლევა, უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიერ მიღებული რძე რაოდენობით ან ხარისხით არ არის დამაკმაყოფილებელი.

ქალის რძის ხარისხი ფასდება მასში ბავშვის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ნივთიერებების შემცველობით (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები, ვიტამინები, მარილები და სხვა). თუ დედა არაწესიერად იკვებება, მისი რძე ღარიბდება ზემოთ ნახსენები ნივთიერებებით და ამიტომ საჭირო ხდება ამ ნივთიერებათა ხელოვნურად დამატება. ეს განსაკუთრებით შეეხება ცილებს და ვიტამინებს, რადგან ცილებს დიდი როლი ენიჭება ნერვული სისტემისა და თავის ტვინის განვითარებაში.

ცილების ნაკლებობა შეიძლება ავანაზღაუროთ მაწონისა და კეფირის დამატებით. ბავშვს პირველ ორ თვეში მაწონი და კეფირი მიეცემა 5—10 გრამის რაოდენობით დღეში ერთხელ, 3—4 თვის ასაკისათვის ეს ერთდროული ულუფა თანდათანობით გაიზრდება 50 გრამამდე და მიეცემა ყოველ კვებაზე ძუძუსთან ერთად. მაწონი ან კეფირი უნდა მიეცეს ქალის რძეში გალესილი, პროპორციით — ერთი ერთზე (1 : 1). თუ დედას რძე ცოტა აქვს, მაშინ შეიძლება მაწონი და კეფირი შევურიოთ ბრინჯის ნახარშს და დავუმატოთ შაქრის სიროფი 5 პროცენტის რაოდენობით.

თუ მაწონისა და კეფირის დამატება 5 თვის ასაკამდე მოგვიხდა, მაშინ ასეთი ბავშვი შერეულ კვებაზე გადაყვანილად ჩაითვლება. თუ დედას რძე სულ არა აქვს და სხვა ქალის რძესაც ვერ იშოვნის, მაშინ ბავშვს უნდა მიეცეს მაწონი ან კეფირი, შერეული ბრინჯის ნახარშთან და 5 პროცენტ შაქრის სიროფთან. ეს უკვე ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი კ ვ ე ბ ა ა, რაზეც უფრო დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომრებში.

ცნობილია, რომ ვიტამინების რაოდენობა დედის რძეში საკმარისია მხოლოდ პირველი სამი თვის განმავლობაში. ამის შემდეგ ბავშვს უსათუოდ უნდა მიეცეს ბოსტნეულის (სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი, პამიდორი) და ხილის (ვაშლი, მარწყვი, ალუბალი, მსხალი) წვენები, ჯერ 10—20 მილილიტრის რაოდენობით დღეში, შემდეგ თანდათანობით ეს ნორმა გაიზრდება და 4—5 თვისათვის ბავშვმა უკვე უნდა მიიღოს 50 მილილიტრის რაოდენობით წვენი. წვენები უნდა მივცეთ ძუძუთი კვების შუალედებში.

ერთი თვის ასაკიდან ბავშვს აუცილებლად უნდა მიეცეს ვიტამინი „Д“ (რაქიტის საწინააღმდეგო), თევზის ქონი ან სტანდარტული ვიტამინი „Д“-ს სახით. ზაფხულში თევზის ქონის მიცემას არ ურჩევენ, მაგრამ თუ ამავე დროს ვიტამინი „Д“-ც არა გვაქვს, საჭიროა ბავშვს დღეში ერთხელ მიეცეს ქალის რძეში გალესილი მოხარშული კვერცხის გულის 1/4.

მარტო დედის რძეზე ბავშვი შეიძლება 5 თვის ასაკამდე იმყოფებოდეს. შემდეგ ქალის რძეში არსებული ნივთიერებანი და განსაკუთრებით რკინის მარილები ვერ აკმაყოფილებენ მზარდი ორგანიზმის მოთხოვნილებას და ბავშვს შეიძლება განუვითარდეს სისხლნაკლულობა, ან სხვა დაავადება. ამიტომ 5 თვის ასაკიდან ბავშვს აუცილებლად უნდა მიეცეს დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი საკვები (მაწონისა და კეფირის, მანანის, სიმინდის ფქვილის, დანაყილი ბრინჯის ფაფის და ბოსტნეულის სუფ-პიურეების სახით).

დამატებითი საკვების მიცემისას უნდა იქნეს დაცული შემდეგი წესები:

1) ახალ საკვებს ბავშვი თანდათანობით უნდა შევაჩვიოთ. პირველად უნდა მივცეთ უსათუოდ ერთი სახის საკვები;

2) დამატებითი საკვები პირველ ხანებში უნდა მივცეთ თბილი სახით, იგი თხელი (5%) კონსისტენციისა უნდა იყოს;

3) დამატებითი საკვების მიცემის ხარჯზე ძუძუთი კვება თანდათანობით უნდა შემცირდეს;

4) საკვების მიცემის დროს ბავშვი უნდა ავიყვანოთ ხელში;

5) 6 თვიდან ბავშვი უნდა შევაჩვიოთ კოვზით ჭმევას.

ძუძუთი კვების სიხშირე შემდეგნაირად უნდა შემცირდეს; 6 თვის ბავშვს ძუძუ 4-ჯერ უნდა მივცეთ, ხოლო დამატებითი საკვები — 1-ჯერ, (ე ი. სულ 5-ჯერ უნდა იკვებებოდეს დღეღამეში), 7 თვის ბავშვი ძუძუთი 3-ჯერ უნდა იკვებებოდეს, დამატებითი საკვებით კი 2-ჯერ. ამ ასაკიდან შეიძლება კვირაში 3-ჯერ დავუმატოთ ბოსტნეულის სუფ-პიურეში მოხარშული და ფხვნილად ქცეული ქათმის ან საქონლის ღვიძლი — 1—2 ჩაის კოვზი, ხორცის ბულიონი, ორცხობილა, კისელი და სხვა. 8—9 თვის ბავშვს ძუძუ 2-ჯერ მიეცემა, დამატებითი საკვები კი 3-ჯერ, საკვებს დღეგამოშვებით შეიძლება დავამატოთ ხორცის ფარში, ან მოხარშული ხორცის ფხვნილი 3—4 ჩაის კოვზის რაოდენობით.

10 თვის ბავშვი ძუძუთი ისევ ორჯერ გამოიკვებება — დილა-საღამოს, ფაფეული უფრო სქელი მიეცემა (10%), საკვებს შეიძლება დაემატოს ტვინიც.

11—12 თვის ბავშვი უნდა შევამზადოთ ძუძუს მოცილებისათვის, რისთვისაც დამატებითი საკვები უფრო მრავალფეროვანი უნდა გავხადოთ. ამ ასაკის ბავშვმა უნდა მიიღოს შემდეგი სახის პროდუქტები: ხორცის ფარში, მოხარშული და დაფქვილი ხორცი და ღვიძლი, კვერცხი, სუფეული, როგორც ხორცის, ისე ბოსტნეულის, ტვინი, ხიზილალა, სხვადასხვა ბოსტნეულისა და ხილის პიურეები, ფაფეული, კისელი, მაწონი, კეფირი, ხაჭო, კარაქი, ორცხობილა, თეთრი პური და ფუნთუშა.

ამ ასაკში ბავშვს არ უნდა მივცეთ ცხვრის და ღორის ხორცი, თევზის კონსერვები, ძეხვი, ვიჩინა (შაშხი), შოკოლადი, ნიგვზიანი და ცხარე საჭმელი, შემწვარი კერძები და შავი პური.

1 წლის ბავშვი უნდა გადავიყვანოთ 4-ჯერად კვებაზე დღე-ღამეში.

**ელენე გერი-მახარაძისა,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,
ქ. თბილისის მთავარი პედიატრი.

# მოდები ბავშვთათვის









1. პანამის კაბა სკოლამდელი ასაკის გოგონასათვის. კლოში ნაკეცებით. კაბის ნაქარგები შესრულებულია ქართული ორნამენტების მიხედვით. ავტორი—ზ. კ ა რ ა ს ე ვ ა.

2. შალის კაბა სკოლამდელი ასაკის გოგონასათვის. ნაჭრებიანი კლოში. კაბის საყელო და ქვედა ბოლო გაწყობილია ნაქარგებით. ავტორი—ზ. კ ა რ ა ს ე ვ ა.

3. კოსტუმი თეთრი აბრეშუმის ქსოვილისაგან. მოკლესახელოიანი ხალათის დამდგარი საყელო და პიჯაკის ჩაჭრილი ჯიბეები დაქარგულია. ნაქარგები შესრულებულია ქართული ორნამენტების მიხედვით. ავტორი—ე. ჯ ა ვ ა შ ვ ი ლ ი.

4. თეთრი აბრეშუმის კოსტუმი. გვერდზე შესაკრავი ხალათი გაწყობილია ნაქარგებით ხევსურული ორნამენტების მიხედვით. ავტორი—ე. ჯ ა ვ ა შ ვ ი ლ ი.





ა გ ა რ ა კ ზ ე. ფოტოეტიუდი
გ. ვახტანგაძის.

**ნანა გვარიშვილი.**

## მე თქვენს ძღურტულზე

ჩემი თეთრგულა მერცხლები ხართ,
მერცხლები ჩემი.
მუდამ ბანზე ვარ, მუდამ ვღელავ—
ნურსად დარჩებით...

საით წახველით, სიხარულნო,
დაბრუნდით მყისვე,
გზისკენ თვალს ვტოვებ თქვენი დედა
ისევ და ისევ...

მიჩუმებულა ჩვენი ეზო
მოწყენა დადის...
თქვენ შემოგევლეთ! აგერ, მესმის
ფეხის ხმა მარდი.

... და ამ ღელვაში წამოიჩიტეთ
დედის ტკბილ გულზე,
ყველა სიმები თრთოლვას მიწყებენ
მე თქვენს ძღურტულზე.

სადაც არ ვიყო, მე უთქვენოდ
მოწყენით ვრჩები,
ჩემი თეთრგულა მერცხლები ხართ,
მერცხლები ჩემი.

**ილია სიხარულიძე.**

## მოფრენილან აგარაკზე

მოფრენილან აგარაკზე
ჩვენი ნორჩი ბაღელები:
გოგონები, ბიჭუნები,
იმხელები, ამხელები.

მოეწონათ აგარაკი,
აღარ უნდა ლაპარაკი,
ტყის შრიალი, მზის კაშკაში,
წყაროს ხტუნვა და რაკრაკი.

გარბიან და გამორბიან
მხიარულად, აღელვებით.
გოგი, გია, კატო, ნატო...
აი, მათი სახელები.

განა მარტო ესენია?
რამდენია, ჰო, რამდენი!
ნია, მზია, დიტო, მიტო
და კიდევ სხვა სკოლამდელი!

ისმის მღერა საამური,
«რაშორერა», «ჩარირამა».
აღარ ახსოვთ დასვენება,
აღარ ახსოვთ სმა და ჭამა!

ვერ დაითვლით იმდენია
აგარაკზე ბაღელები!
რა ცქრიალა ბავშვებია!
მსგავსის არ ვართ მნახველები!

### ჟურნალ № 4 მოთავსებული კროსვორდის პასუხი

**ვერტიკალურად:** 1. სუმატრა; 2. ობობა, 3. რძე; 4. რიცა; 5. ყუა; 6. შმაგი; 7. უნგრეთი; 11. იასი; 12. რიტა; 16. კირი; 17. ფარი; 19. კახეთი; 22. არია; 23. კიჩო; 25. რელიგია; 28. ნანკინი; 29. ეგეოსი; 30. ლიახვი; 33. მარიჯანი; 34. აბაკელია; 35. პარტია; 37. ოთხასი; 43. იორი; 45. სენა.

**ჰორიზონტალურად:** 8. დუმბაძე; 9. ლია; 10. მურმანი; 13. ბამბა; 14. აკაკი; 15. იგორი; 18. ისკრა; 20. ლატავრა; 21. ფრაქცია; 24. გორი; 26. არტერია; 27. ანძა; 31. ელეგია; 32. ორიონი; 36. ნაიბი; 38. რადიუსი; 39. სვანეთი; 40. ცინკი; 41. ჯილი; 42. დილა; 44. ლოსი; 46. კესო; 47. ერგი; 48. აინი.

გარეკანის პირველ გვერდზე—
პ ა ტ ა რ ა თ ბ ი ლ ი ს ე ლ ი. ფოტოეტიუდი.
გ. ვახტანგაძის.

გარეკანის მეოთხე გვერდზე—
კოჯრის სკოლა-ინტერნატის ეზოში. ფოტო
გ. ვახტანგაძის.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. ხირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 15.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 645, უე 00947.

საქ. კ. პ. ც-კის გამომცემლობა
პოლიგრაფიული კომბინატი
„კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический иллюстрированный журнал „Сабчота Кали", Издательство ЦК КП Грузии.



# პატარა ხელებით ნაძერწი

მარცხნივ თქვენ ხედავთ გოგონას — თბილისის სტალინის სახელობის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეს ქეთევან ვარდიაშვილს, მისმა პატარა ხელებმა გამოძერწა ეს თოჯინები პლასტილინიდან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა











